სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/37

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ ნებიერიძის 2023 წლის 27 ივლისის №0000933704 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 27 ივლისის №0000933704 წერილით წარმოდგენილი პარამეტრების თანახმად;
2. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდეს 2023 წლის 01 აგვისტოდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**